

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ : ახლა, როცა პირადი ექიმის მომსახურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებს სპეციალური პირობებით ვთავაზობთ

- ჯანმრთელობის დაზღვევის შეძენისას დაზღვეულებს საჩუქრად პოლისი ონკოქეარი და კურაციო ქარდი გადაეცემათ.
- ჯიპიას დაზღვეულებს პირადი ექიმები 24 საათის განმავლობაში ემსახურებიან.

24 ნოემბერი.თბილისი. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ჯანმრთელობის დაზღვევის შეძენის მსურველებს სადაზღვეო პაკეტთან ერთად სპეციალურ საჩუქრებს სთავაზობს. აქციის ფარგლებში ყველას, ვინც ჯანმრთელობის დაზღვევას ჯიპიაიში შეიძენს, საჩუქრად კიბოს რისკისგან დაზღვევის პოლისი „ონკოქეარი“ და კურაციო ქარდი გადაეცემა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ პანდემიის ფონზე ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა. გამორჩეულად მნიშვნელოვანია ის, რომ ჯიპიაი თავის დაზღვეულებს პირადი ექიმების 24 საათიანი მომსახურებით უზრუნველყოფს. კოვიდ დადასტურებულ ან კოვიდზე საექვო დაზღვეულებს „კურაციოს“ კოვიდ-ექიმების ჯგუფი ემსახურება და ბინაზე მკურნალობის პროცესში ეხმარება. Covid-19-ის ბინაზე მკურნალობის პროცესში ჯიპიას პირადი ექიმები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაერთვნენ. შესაბამისად დაზღვეულებს საშუალება აქვთ ექიმს საკუთარ რეგიონში დაუკავშირდნენ და მასთან გაიარონ კონსულტაცია.

თინათინ სტამბოლიშვილი, „ჯიპიაი ჰოლდინგის კომუნიკაციების დირექტორი“ : „*ჯიპიას ჯანმრთელობის დაზღვევა ახლა ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია. ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ COVID-19-ის ბინაზე მკურნალობის პროცესში და ჩვენს დაზღვეულებს პირადი ექიმის 24 საათიანი მომსახურებით ვუზრუნველყოფთ. ჩვენთვის ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს პირადი ექიმის მომსახურებით, ამიტომ ინდივიდუალური დაზღვევის პოლისის შეძენის მსურველებისთვის სპეციალური საჩუქრები გვაქვს. ყველაზე საჭირო პოლისი „ონკოქეარი“, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნის აღმოჩენის შემთხვევაში სოლიდურ კომპენსაციას ითვალისწინებს და კურაციო ქარდი, რომელიც ფაქტობრივად მეორე სადაზღვეო პოლისია, რომელსაც დაზღვეულის ოჯახის წევრი გამოიყენებს და კლინიკა „კურაციოში“ სამედიცინო სერვისებს ფასდაკლებით მიიღებს. ამ ბარათის მფლობელი პირადი ექიმის მომსახურებითაც 50%-ანი ფასდაკლებით ისარგებლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯიპიას დაზღვევით სარგებლობა ახლა უკვე თბილისის ყველა უბანშია შესაძლებელი, ჩვენს დაზღვეულებს შეუძლიათ პირადი ექიმი და მომსახურე კლინიკა სახლთან ახლოს აირჩიონ . „*

პოლისი ონკოქეარი აზღვევს ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების რისკს და ითვალისწინებს კომპენსაციას დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში. კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა 150 000 ლ-ია. პოლისის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ დაზღვეულს აქვს თანხის განკარგვის თავისუფლება - კომპენსაციის გახარჯვა შესაძლებელია როგორც მკურნალობის, ასევე სხვა მიზნებისთვის, დაზღვეულის სურვილისამებრ.

კურაციო ქარდით კი დაზღვეულის ოჯახის ერთ წევრს შესაძლებლობა ექნება, კლინიკა კურაციოში, ერთი წლის განმავლობაში, დაზღვევით გათვალისწინებული ყველა სერვისის 50%-მდე ფასდაკლებით მიიღოს. 50%-ანი ფასდაკლება ვრცელდება პირადი ექიმის ან პედიატრის კონსულტაციაზე, ნებისმიერი სპეციალობის ექიმთან კონსულტაციაზე, გამოკვლევებსა და ანალიზებზე.

ჯიპიას ინდივიდუალური დაზღვევის პოლისი - მედი - თვეში 12 ლარიდან იწყება და ითვალისწინებს ისეთ მომსახურებებს როგორცაა: პირად ექიმთან და პედიატრთან კონსულტაცია 100%-ანი დაფინანსებით ულიმიტოდ, ვიწრო სპეციალისტთან ვიზიტი, გამოკვლევები და ანალიზები თანადაფინანსებით, სტომატოლოგიური პროცედურები თანადაფინანსებით. ჯიპიას დაზღვეულებს შეუძლიათ მედიკამენტები ყველა წამყვან სააფთიაქო ქსელში თანადაფინანსებით შეიძინონ.

ჯიპიას ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობა უკვე თბილისის ყველა დიდ უბანშია შესაძლებელი. დაზღვეულებს ქალაქის 5 წამყვანი კლინიკა ემსახურებათ : „კურაციო“ და ქართულ-ამერიკული ჰოსპიტალი ვაკე-საბურთალოზე, თბილისის ზღვის ჰოსპიტალი ვარკეთილში, კლინიკა „ჯერარსი“ მუხიანში და კლინიკა „ენმედიცი“ ისანი-სამგორში.

პოლისი შეძენა სააქციო პირობებით, მომხმარებელს როგორც ონლაინ mygpi.ge-ზე ისე გაყიდვების აგენტის დახმარებით შეუძლია.

ჯიპიას ინდივიდუალური დაზღვევით 30,000 ადამიანი სარგებლობს. კომპანია ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე ყველაზე დიდ წილს - 65% ფლობს.